აზარტული თამაშების საქმიანობებით დაკავებული საწარმოების სტატისტიკის მეთოდოლოგიური თავისებურებანი

2018 წლიდან საქსტატმა, აზარტული თამაშების საქმიანობით დაკავებული საწარმოების საქმიანობის შეფასება დაიწყო ახალი მეთოდოლოგიით, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შესაბამისი სექტორის საწარმოების ბრუნვის მოცულობაზე.

2018 წლამდე აღნიშნული სექტორის საწარმოების ბრუნვის მოცულობაში აისახებოდა მხოლოდ მოთამაშეთა მიერ ჩარიცხული თანხის მოცულობა, ხოლო ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით, რომლითაც საქსტატი უკვე 2018 წლიდან ხელმძღვანელობს, აღნიშნულ თანხასთან ერთად ბრუნვის მოცულობაში აისახება მოთამაშეთა მიერ ყოველ ჯერზე დადებული ფსონების ჯამი.

მეთოდოლოგიური ხასიათის ცვლილებებს წინ უძღვოდა მთელი რიგი აქტივობები, რომლებიც საქსტატმა განახორციელა 2018 წელს, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და შესაბამისი დარგის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით.

ამასთან, 2018 წლის ივლისში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქსტატსა და სათამაშო ბიზნესის ასოციაციას შორის, რომლის ფარგლებშიც გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა. შეხვედრაში საქატატის და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობდნენ აღნიშნული დარგის კომპანიების წარმომადგენლები.

თანამშრომლობის მიზანს წარმოადგენდა ბიზნეს წრეების უზრუნველყოფა ხარისხიანი ინფორმაციით, სათამაშო ბიზნესის სფეროში მონაცემთა აღრიცხვის გაუმჯობესება და ქვეყანაში საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა.

ცვლილებები შეეხო მხოლოდ ბრუნვის მაჩვენებელს, ხოლო დანარჩენი მაჩვენებლები, როგორიცაა, პროდუქციის გამოშვება და დამატებული ღირებულება, იანგარიშება იმავე მეთოდოლოგით, რითაც საქსტატი წინა პერიოდში ხელმძღვანელობდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, განსხვავებული მიდგომით აღრიცხვიანობის გამო, სათამაშო ბიზნესის სექტორის 2018 წლის ბრუნვის მაჩვენებელი არ არის შესადარისი წინა პერიოდის მონაცემებთან, ამასთან, წინა პერიოდის მონაცემთა გადაანგარიშება დღემდე ტექნიკურად ვერ ხერხდება, შესაბამის მონაცემთა არარსებობის გამო.

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, აღნიშნული მეთოდოლოგიით გაანგარიშებული ბრუნვის მაჩვენებელი ძირითადად გამოიყენება აზარტულ თამაშებზე მომხარებელთა აქტივობის დონის შესაფასებლად და ვერ იძლევა აღნიშნული სექტორის სრულყოფილად დახასიათების შესაძლებლობას.

აზარტული თამაშების სექტორის საქმიანობის შესაფასებლად რეკომენდირებულია პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლის გამოყენება, რომელიც მიიღება ბრუნვის მოცულობიდან საპრიზო განაცემების (ანუ, მოგების სახით გაცემული თანხების) გამოკლებით.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული სექტორის პროდუქციის გამოშვება წარმოადგენს თამაშებიდან მიღებული შემოსავლების ჯამს (Gross Gambling Revenue - GGR), რაც რჩება ბრუნვის მოცულობიდან საპრიზო განაცემების, ანუ მოგების სახით გაცემული თანხის გამოკლების შემდეგ.